N 1381-09
30.09.2024

1381-09-3-202409301641

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსს ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ჯუმბერ,

ტყის მართვის სამსახურში განხილულია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 30 სექტემბერის M R D I - R D N 2-03/14465 წერილი, რომელიც ეხება, დაინტერესებული პირის ბესიკ აბდულიშის (პ/ნ.61006068371) 07.04.2023 წლის №545/09 განცხადებას, ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის თხილნარის სატყეოს კვარტალ №7-ის ლიტერ №4-ში, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 1 (ერთი) ერთეულ საერთო ჯამში 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე **(ს/კ: 22.30.02.838)** საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით (სასეირნო ბილიკების მოწყობა-მოპირკეთება), ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების 10 წლის ვადით მინიჭების მოთხოვნას.

ხელვაჩურის სატყეო ადმინისტრაციის 2023 წლის 25 მაისის №09/882 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციით, თანახმაა გაიცეს საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით, ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება (ხე-ტყის ჭრა არ იგეგმება).

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 21.03.2024 წლის №5/16161 წერილით გვეცნობა, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილებში გათვალისწინებული საქმიანობისათვის, სახელმწიფო ტყის ფონდში რიცხული მიწის ნაკვეთი **(ს/კ:22.30.02.838)** გაიცეს სარგებლობის უფლებით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, ჩვენს მიერ ზემოხსენებულ წერილებში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2024 წლის 12 აპრილის №01-01-10/3367 წერილით გვაცნობა, რომ არ გააჩნია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და თანახმა გაიცეს ტყითსარგებლობა მიწის ნაკვეთზე (ს/კ 22.30.02.838).

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2024 წლის 30 სექტემბერს გვაცნობა M R D I - R D N 2-03/14465 წერილით, რომ აღნიშნული საკითხი სცილდება მის კომპეტენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, ადმინისტრაციულმა სამსახურმა განიხილოს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს 10 წლის ვადით, აუქციონის გამოცხადება.

დანართი: საქმის წარმოების მასალები თან ერთვის.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე

სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური